

**საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიას აკადემიური
პოზიციის დასაკავებლად**

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
 - 1.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 6 წლის.
 - 1.2. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
 - 1.3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.
 - 1.4. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
2. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებით:
 - 2.1. ნიადაგმცოდნეობა (1 ვაკანსია პროფესორი)
 - 2.2. ელექტრო ინჟინერია (1 ვაკანსია პროფესორი)
 - 2.3. სამშენებლო ინჟინერია (1 ვაკანსია პროფესორი)
 - 2.4. მოლეკულური ფიტოპათოლოგია (1 ვაკანსია ასოცირებული პროფესორი)
 - 2.5. იმუნოლოგია (1 ვაკანსია ასოცირებული პროფესორი)
 - 2.6. მოლეკულური ბიოლოგია (1 ვაკანსია ასოცირებული პროფესორი)
 - 2.7. ბიოკონტროლი (1 ვაკანსია ასოცირებული პროფესორი)
 - 2.8. მაღალმოლეკულური ნაერთების ქიმია (1 ვაკანსია ასოცირებული პროფესორი)
 - 2.9. პოლიმერების ქიმია (1 ვაკანსია ასისტენტ-პროფესორი)
 - 2.10. მოლეკულური გენეტიკა (1 ვაკანსია ასისტენტ-პროფესორი)
 - 2.11. მარკეტინგი (1 ვაკანსია ასისტენტ-პროფესორი)
 - 2.12. მენეჯმენტი (1 ვაკანსია ასისტენტ-პროფესორი)
 - 2.13. მსოფლიო ისტორია და საქართველი (1 ვაკანსია ასისტენტ-პროფესორი)
 - 2.14. სამეწარმეო სამართალი (1 ვაკანსია ასისტენტ-პროფესორი)
3. განცხადებების მიღების ვადად განისაზღვროს **2019 წლის 8 აგვისტოდან - 2019 წლის 13 აგვისტოს ჩათვლით.**
4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

- 4.1. ბიოგრაფია (CV);
- 4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
- 4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
- 4.4. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- 4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;
- 4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5. დოკუმენტაციის მიიღება განხორციელდეს ელექტრონულად, შემდეგ ბმულზე - <https://form.jotform.me/91833629501458>

6. კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა განხორციელდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდეს გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართოს **2019 წლის 14 აგვისტოდან - 2019 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან ჩატარდეს **2019 წლის 21 აგვისტოდან - 2019 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით**.

8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე. აკადემიურ პოზიციებზე არჩევა ხდება 4 წლის ვადით.

9. საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი

ვებ-გვერდი: www.agruni.edu.ge

[ელ.მისამართი: Vacancy@agruni.edu.ge](mailto:Vacancy@agruni.edu.ge)